ონლაინ მრგვალი მაგიდის ანგარიში თემაზე: „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზომვის ჩარჩო ქალების წინაშე მდგარი კონკრეტული გამოწვევების ჩათვლით“

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE
ევროპის საბჭო

ონლაინ მრგვალი მაგიდის
ანგარიში თემაზე:

„მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზომვის ჩარჩო ქალების წინაშე მდგარი კონკრეტული გამოწვევების ჩათვლით“

ევროპის საბჭო

Original: Report on the online roundtable on "Framework to measure access to justice including specific challenges facing women".

დოკუმენტი მომზადებულია პროექტის ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სტამბოლის კონვენციის და გენდერული თანასწორობის შესახებ სხვა ევროპული სტანდარტების შესრულება – პროექტის ფარგლებში. პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის II, 2019-2022 ფარგლებში. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს არც ერთი ორგანიზაციის ოფიციალურ პოლიტიკას.

გარდა კომერციული მიზნებისა, ექსტრაქტების რეპროდუქცია (500 სიტყვამდე) ავტორიზებულია, იმ პირობით, რომ ტექსტის მთლიანობა შენარჩუნებულია, ნაწყვეტი არ გამოიყენება კონტექსტიდან ამოგლეჯილად, არ შეიცავს დაუსრულებელ ინფორმაციის ან მკითხველი არ შეჰყავს შეცდომაში ტექსტის ხასიათის, ფარგლების ან შინაარსის შესახებ. გამოყენებული ტექსტის წყაროდ ყოველთვის უნდა იყოს შემდეგი მითითებული: "© ევროპის საბჭო, 2021". რეპროდუქციის/თარგმანის შესახებ ყველა სხვა მოთხოვნა დაკავშირებული მთლიან ან დოკუმენტის ნაწილთან, უნდა გაეგზავნოს კომუნიკაციების დირექტორატს, ევროპის საბჭო (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int).

ამ დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა კორესპონდენცია უნდა გაეგზავნოს ევროპის საბჭოს პარტნიორობას კარგი მმართველობისთვის.
პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის
პროგრამების გენერალური
დირექტორატის ოფისი
ევროპის საბჭო
სტრასბურგის Cedex 67075 FRANCE
ელ.ფოსტა: odgp_pgg@coe.int

დიზაინი: Friends of Brands, კიევი, უკრაინა

ფორმატი: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო

© ევროპის საბჭო, აპრილი, 2022.
ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირში პირობებით.

შინაარსი

1. შესავალი 7

2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა – განმარტება 8

3. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა – უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა 10

4. მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის სპეციფიკა სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობს ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას 11

5. მთავრობების როლი ქალთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფაში 13

6. ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზომვის ჩარჩოს მიმოხილვა სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინაში 15

1. შესავალი

ეს ანგარიში არის კომპონენტი რეგიონული PGG პროექტისა „ქალთა წვდომა მართლმსაჯულებაზე: სტამბოლის კონვენციისა და გენდერული თანასწორობის სხვა ევროპული სტანდარტების შესრულება“. პროექტი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას ქალებისთვის, განსაკუთრებით ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის შესაბამისად და წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებაში. პროექტის მიზანია, დაეხმაროს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს, უზრუნველყონ თითეული მოქალაქის, მათ შორის ქალების, თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე წევრი ქვეყნების ეროვნული და ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად და განავითარონ გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების ჯაჭვი. ეს ანგარიში შედგენილია მთავრობათაშორისი მრგვალი მაგიდის შედეგად, რომელიც ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2020 წლის 29-30 ივნისს და მიეძღვნა თემას „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზომვის ჩარჩო ქალების წინაშე მდგარი სპეციფიკური გამოწვევების ჩათვლით“. ანგარიშის შედგენამდე საგანგებოდ შეგროვდა მონაცემები მოკლე ონლაინ კითხვარების საშუალებით, რომლებიც დაეგზავნათ სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მონაწილე ქვეყნებში.

ამ ანგარიშში ჩამოყალიბებულია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შეფასების ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს ქალთა სპეციფიკურ გამოცდილებას და საჭიროებებს. ეს ჩარჩო შეიცავს რეკომენდაციებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისთვის კვლევის გეგმასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია ძირითად მონაცემთა შეგროვება სამთავრობო პოლიტიკისა და ღონისძიებების დასაგეგმად, რათა უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულებაზე ინკლუზიური წვდომა ყველა მოქალაქისთვის, მათ შორის ქალებისთვის, ქვეყნების ეროვნული და ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად.

ანგარიშში მოცემული ანალიზი და რეკომენდაციები ასახავს მონაწილე ქვეყნებში ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ არსებულ შეფასებებს[1] და ინფორმაციას, რომელიც მიღებული გვაქვს მონაწილე ქვეყნების მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან.

ამ ანგარიშის მე-2 და მე-3 სექციებში განხილულია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კონცეფცია ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად; მე-4 ნაწილი აანალიზებს ქალთათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სპეციფიკას, ხოლო მე-5 ნაწილი აღწერს მთავრობების როლს მართლმსაჯულებაზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფაში. და ბოლოს, მე-6 განყოფილება განსაზღვრავს განზომილებებს მართლმსაჯულებაზე ინკლუზიური წვდომის ხელშესაწყობად სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინაში და განიხილავს შესაბამის ინდიკატორებს.

1. ბარიერები, საშუალებები და კარგი პრაქტიკა ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. COE, 2016 წ.

2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა – განმარტება

მართლმსაჯულებაზე წვდომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და ამრიგად, ის გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ ინსტრუმენტებსა და სტანდარტებში. გასული ათწლეულის განმავლობაში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა წინა პლანზე გამოვიდა, როგორც თავისთავად ფუნდამენტური უფლება და როგორც განვითარების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის არსებითი ელემენტი და საშუალება ყველა სხვა სამოქალაქო, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლების რეალიზაციისთვის, რომელთა შორისაა სიცოცხლის უფლება, ღირსება, პოლიტიკური ჩართულობა, არადისკრიმინაცია და ძალადობისაგან დაცვა.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ფართო ცნებაა, რომელიც შეიცავს როგორც პროცედურულ, ასევე შედეგზე ორიენტირებულ ელემენტებს. როგორც ევროპის საბჭო, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული ჩარჩოები ხელს უწყობენ მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების განმტკიცებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომელიც მოიცავს უფასო იურიდიული დახმარების უფლებას მათთვის, ვისაც ხელი არ მიუწვდება ფასიან ურიდიულ მომსახურებაზე. მე-13 მუხლი განსაზღვრავს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების უფლებას. მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია (CEPEJ), რომელიც აფასებს მართლმსაჯულების სისტემებს წევრ ქვეყნებში, განსაზღვრავს მართლმსაჯულების ხარისხსა და მოსამართლეთა შესაძლებლობებს, როგორც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ძირითად ელემენტებს[2].

განმარტებები, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ქალთათვის, დეტალურად აღწერს ქალებთან სპეციფიკურად დაკავშირებულ ასპექტებს. მათ შორისაა თანაბარი უფლებების არსებობა, დავების გადაწყვეტის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მექანიზმები და სამართლებრივი სტრუქტურების ანგარიშვალდებულება.

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) შემდეგნაირად განმარტავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ქალთათვის:

> „ქალთათვის, განსაკუთრებით, ღარიბი და დაუცველი ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისათვის, სამართლიან, ეფექტიან, ხელმისაწვდომ და ანგარიშვალდებულ მექანიზმებზე წვდომა უფლებების დაცვის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კონტროლისა და კონფლიქტების მოგვარების მიზნით. ეს მოიცავს შესაძლებლობას ქალებისთვის, მოიძიონ და მოიპოვონ სამართლიანი საშუალებები ფორმალური და არაფორმალური მართლმსაჯულების სისტემების მეშვეობით და შესაძლებლობას, ჩაერთონ და ზეგავლენა მოახდენონ კანონშემოქმედებით პროცესებზე და წარმოდგენილები იყვნენ შესაბამის სტრუქტურებში[3].

2. იხილეთ, მაგალითად, ევროპის საბჭოს ეფექტური მართლმსაჯულების კომისია, „მოსამართლეთა იზოლაციის აღმოფხვრა – გაიდლაინები მოსამართლის უნარებისა და კომპეტენციების გასაუმჯობესებლად, ცოდნის გაზიარებისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად. სასამართლოს იზოლაციის კულტურის დაძლევა“, 2019 წ.; „მართლმსაჯულების ხარისხის გაზომვა“, 2016 წ.
3. UNDP, „მართლმსაჯულებაზე ქალების წვდომის აქტივობათა რუკა IANGWE-ს შერჩეულ წევრებში არაკონფლიქტურ არეალებში.“

CEDAW-ის №33 რეკომენდაციის განსაზღვრებით, ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მოიცავს:

- სასამართლო წესით განხილვის შესაძლებლობას, რომელიც გულისხმობს, რომ ქალებს აქვთ დაუბრკოლებელი წვდომა მართლმსაჯულებაზე და შეუძლიათ, დაიცვან თავიანთი უფლებები CEDAW-ის მოთხოვნათა მიხედვით;
- მართლმსაჯულების სტრუქტურების არსებობას, რაც გულისხმობს სასამართლოებისა და კვაზი-სასამართლო სტრუქტურების არსებობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის სოფლად და შორეულ რეგიონებში;
- მოთხოვნას, რომ მართლმსაჯულების ყველა სისტემა იყოს უსაფრთხო, ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი ქალებისთვის და ქალების საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული;
- კარგ ხარისხს, რომელიც, inter alia, მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა კომპეტენცია, ეფექტიანობა, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და დროულობა; ასევე ეფექტიანი და გონივრული საშუალებების უზრუნველყოფა;
- მართლმსაჯულების სისტემ(ებ)ის ანგარიშვალდებულებას.

მართლაც, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გონივრული განმარტება უნდა ეხებოდეს მართლმსაჯულების ჯაჭვის ყველა ელემენტს და ითვალისწინებდეს შესაძლო ნაკლოვანებებსა თუ ხარვეზებს, რომლებმაც შეიძლება მართლმსაჯულებაზე წვდომა შეზღუდონ. ასეთი ელემენტები, რომლებიც მართლმსაჯულების ჯაჭვის თითოეულ ნაბიჯს მოიცავენ, ქმნიან სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ანიჭებს თითოეულ მოქალაქეს ყოვლისმომცველ და თანაბარ უფლებებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; მათში შედის მოსახლეობის იურიდიული ცნობიერება და წიგნიერება; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი იურიდიული კონსულტაციისა და წარმომადგენლის უფლება; იურიდიული დახმარება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებში; დავის გადაწყვეტის ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი, დროული, ეფექტიანი, ქმედითი, მიუკერძოებელი, კორუფციისგან თავისუფალი და სანდო მექანიზმების ხელმისაწვდომობა, რომლებშიც გამოიყენება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი წესები და პროცედურები. ამ ელემენტებს შორისაა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტიანი და მიუკერძოებელი მექანიზმებიც[4].



4. გაეროს ქალთა ფონდი და ევროპის საბჭო, „მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის გაზომვის ჩარჩო“ 2016 წ.

3. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა – უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა

ამ ანგარიშში ასახულია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და მისი შემადგენელი ელემენტების ისეთი გაგება, რომელიც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ემყარება. უფლებებზე დაფუძნებული პერსპექტივით, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა აიხსნება, როგორც „მოვალეობის მატარებლების“ (ანუ ინსტიტუტების, რომლებსაც აქვთ სამართლიანობის აღსრულების უფლებამოსილება და მოვალეობა) შესაძლებლობა, უზრუნველყონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, და „უფლების მფლობელთა“ (ე.ი. ფიზიკური პირებისა და ყველა იმ სუბიექტის, რომლებსაც უფლება აქვთ, ეძიონ და მიიღონ სამართალი) უფლება, ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებაზე და განახორციელონ თავიანთი უფლებები მართლმსაჯულების სერვისებზე წვდომის გზით.[5]

ეს მიდგომა, რომელიც მართლმსაჯულების ინსტიტუტებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობას განმარტავს უფრო ადამიანის უფლებების რეალიზაციის ჭრილში, ვიდრე სერვისების მიწოდების თვალსაზრისით, ხაზს უსვამს ინსტიტუციურ ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა გაძლიერების მნიშვნელობას. მართლმსაჯულების სისტემების შეფასებები, რომლებიც ემყარება ადამიანის უფლებათა პერსპექტივას, მხოლოდ მართლმსაჯულების არსებობასა და ეფექტიანობას კი არ ითვალისწინებს, არამედ გულისხმობს მათი ხარისხისა და ბენეფიციარებზე გავლენის გულდასმით შეფასებასაც. მაგალითად, ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასებისას, კვლევები ითვალისწინებს არა მხოლოდ მოსამართლეთა რაოდენობას და მათ ტექნიკურ ცოდნას, არამედ მათ უნარს, განახორციელონ სამართალი ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების შესაბამისად. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სისტემის შეფასების და გაზომვის ჩარჩოების კიდევ ერთი მთავარი მახასიათებელია ყურადღების გამახვილება მოთხოვნის მხარეზე, როგორიცაა, მაგალითად, მოქალაქეთა მართლმსაჯულებრივი საჭიროებები, მათი აღქმის მონაცემები, რომლებშიც შედის ინსტიტუტებისადმი ნდობა და მართლმსაჯულების მომსახურების ხარისხით კმაყოფილების დონე.

5. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანალიზი, რომელიც განხორციელდა ამ ანგარიშში, ეფუძნება უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც თავის მხრივ ემყარება კონცეფციას, რომ ინდივიდებს აქვთ უფლება, თავიანთი საჩივრების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღონ მართლმსაჯულების ინსტიტუტების მეშვეობით. ამ დაშვებით განვსაზღვრავთ მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის შეფასებისთვის საკვანძო, მართლმსაჯულების ჯაჭვის ელემენტებს, როგორც მართლმსაჯულების ჯაჭვის იმ საფეხურებს ან კომპონენტებს, რომლებიც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას ადამიანის უნარზე, გამოიყენოს ასეთი უფლება. ამ ელემენტების არარსებობა ან გაუმართაობა მიიჩნევა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მთავარ ბარიერად; ხოლო სწორად შემუშავებისა და რეალიზების შემთხვევაში, ისინი წარმოადგენენ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, რომლებიც ზრდის მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობას. იხილეთ, მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამა (2004); გაეროს ქალთა ფონდი, „მსოფლიოს ქალთა პროგრესი – წვდომა სამართლიანობაზე“ (2011); მსოფლიო ბანკის მსოფლიო განვითარების ანგარიში 2012, გენდერული თანასწორობა და განვითარება (2011); კანონის უზენაესობის ინიციატივა (2012).

4. მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის სპეციფიკა

სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩოს ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობს ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა კანონის წინაშე და დავების გადაწყვეტის მექანიზმებზე თანაბარი წვდომის უფლება ჩადებულია მთელ რიგ საერთაშორისო დოკუმენტებში, რომლებიც განმარტავენ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, როგორც ადამიანის საყოველთაო უფლებას. ამ კონტექსტში, საერთაშორისო აქტორების – მათ შორის გაეროს, მსოფლიო ბანკის, ევროპის საბჭოსა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის – მიერ ჩატარებულ კვლევებსა და ანგარიშებში[6] ხაზგასმულია ის სპეციფიკური გამოწვევები, რომელთა წინაშე დგანან ქალები მართლმსაჯულებაზე წვდომის თვალსაზრისით.

ეს ბარიერები შეიძლება დაჯგუფდეს ორ განსხვავებულ კატეგორიად, რომლებიც ქალების ცხოვრებისეული რეალობის სხვადასხვა ასპექტებს ეფუძნებიან, მაგრამ ურთიერთიკვეთებიან კიდეც და მამაკაცებთან შედარებით ბევრად მეტად უზღუდავენ ქალებს მართლმსაჯულებაზე წვდომას. ეს არის ინსტიტუციური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ბარიერები.

ინსტიტუციური ბარიერები

ამ ბარიერებს ქმნის მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს არარსებობა. ამაში შედის დისკრიმინაციული კანონები, რომელიც ქალებს უზღუდავს ისეთ უფლებებს, რომლებიც დაცულია მამაკაცებისთვის; გენდერულად ნეიტრალური კანონები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ქალებზე; მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ადამიანების, მათ შორის მოსამართლეების, პროკურორების, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, იურისტების, იურიდიული დახმარების სერვისების მიმწოდებლების მიკერძოება; იურიდიულ დახმარებაზე შეზღუდული წვდომა სამოქალაქო საქმეებსა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზის არარსებობა, ხოლო კანონების არსებობის შემთხვევაში – სასამართლო სისტემების უუნარობა, განახორციელონ და აღასრულონ ისინი. გარდა ამისა, რესურსები ხშირად არათანაბრად ნაწილდება და ვერ ფარავს სასამართლო სისტემის საკვანძო სფეროებს, რომლებიც განსაკუთრებულად ეხება ქალებს, როგორიცაა, საოჯახო სამართალი, დასაქმების სფერო ან ისეთი პროცედურები, როგორიცაა პირადობის, დაბადების ან გარდაცვალების მოწმობის აღება.

ინსტიტუციური ბარიერებიდან ბევრი გენდერულ ფაქტორებზე არაა დამოკიდებული: პროცედურების სიძვირე და ხანგრძლივობა, შეზღუდული გეოგრაფიული წვდომა; სათარჯიმნო სერვისების ნაკლებობა და იურიდიული ცოდნისა და ინფორმირებულობის სიმწირე გავლენას ახდენს როგორც ქალებზე, ასევე მამაკაცებზე. თუმცა, სოციალური და ინსტიტუციური ბარიერების ერთობლიობა ართულებს ქალთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომას – სხვადასხვა ეკონომიკურ, კულტურულ, ასაკობრივ თუ ეთნიკურ ჯგუფებში – ზრდის ბარიერებს ქალებისთვის და უფრო დაუცველს ხდის მათ მართლმსაჯულებრივ პროცესში.

6. UN Women, cit., 2011; მსოფლიო ბანკი, cit., 2011; CEDAW რეკომენდაცია No33, 2015; ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2018-2023 წწ., გვ. 24 და სხვა; UN Women, IDLO, მსოფლიო ბანკი, სამართლიანობა ქალებისთვის – მაღალი დონის ჯგუფის ანგარიში, 2019; UN Women, პრაქტიკოსის სახელმძღვანელო მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის დაგეგმვის შესახებ; 2018 წ.

სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ბარიერები

ფესვგადგმული გენდერული ნორმები ასევე ხელს უშლის ქალებს მართლმსაჯულებაზე წვდომაში. იქ, სადაც ტრადიციული გენდერული როლები განსაზღვრავს ქალის პოზიციას საზოგადოებაში, სამარცხვინოდ ითვლება, ქალმა მიმართოს მართლმსაჯულების სისტემას, ამიტომ ქალებს, რომლებიც თავიანთი უფლებების კანონიერად დაცვას ცდილობენ, თემის მხრიდან გარიყვა ემუქრებათ. ოჯახში ქალთა ტრადიციული მოვალეობებიდან გამომდინარე, ქალებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ ისეთი პირადი საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც სცდება ოჯახის ფარგლებს. ეკონომიკური უთანასწორობა აძლიერებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერებს, როგორიცაა, მაგალითად, პროცედურების სიძვირე. უფასო იურიდიული დახმარების მიღების ან გადასახადებისგან გათავისუფლების პროგრამებში ჩართვის კრიტერიუმები, რომლებიც არ ითვალისწინებენ განმცხადებლის რეალურ შემოსავალს, თავისთავად დისკრიმინაციას უწევენ ქალებს, რომლებსაც, როგორც წესი, ოჯახის შემოსავლის ბევრად მცირე ნაწილზე მიუწვდებათ ხელი (თუ საერთოდ მიუწვდებათ), ვიდრე მამაკაცებს. ამასთან, კერძო სატრანსპორტო საშუალებებზე შეზღუდული წვდომა, წიგნიერების და განათლების დაბალი დონე ის წინაპირობებია, რომლებიც ქალებს მამაკაცებთან შედარებით ბევრად უფრო უზღუდავენ მართლმსაჯულებაზე წვდომას. ქვემოთ მოყვანილ მე-2 დიაგრამაზე ჩანს ის ელემენტები, რომლებიც იდენტიფიცირებულია, როგორც დამაბრკოლებელი „სიტუაციური მახასიათებლები“, ისეთ პიროვნულ მახასიათებლებთან ერთად, როგორებიცაა ასაკი, რასა, დედობრივი და ოჯახური მდგომარეობა. ეს ყველაფერი ერთად კიდევ უფრო ზღუდავს ქალთა უფლებებს და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას მათთვის.

დიაგრამა 2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ბარიერები ქალებისათვის

იმისათვის, რომ ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის ღონისძიებები ქმედითი იყოს, ისინი უნდა ითვალისწინებდეს ხილულ და უხილავ ბარიერებს, რომლებსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებისას. ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხელშემწყობი გარემოს ძირითადი ელემენტები მოიცავს: გენდერულად მგრძნობიარე საკანონმდებლო ჩარჩოს, ქალთა სამართლებრივ ინფორმირებულობას და წიგნიერებას, წვდომას იაფ და ხარისხიან იურიდიულ კონსულტაციასა და წარმომადგენლობაზე, სასამართლო სისტემის ინსტიტუციურ შესაძლებლობებს, გენდერული მიკერძოებისგან თავისუფალ, სამართლიან პროცესს, სპეციალურ სასამართლოებსა და განხილვებს, სამართლებრივი დაცვისა და აღსრულების ეფექტიან საშუალებებს, რესურსების განაწილების გენდერულად მგრძნობიარე სისტემას.

5. მთავრობების როლი ქალთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფაში

მართლმსაჯულებაზე ქალთა თანაბარი წვდომა ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის 2018-2023 წლების სტრატეგიის ხუთი პრიორიტეტული თემიდან ერთ-ერთია. მართლმსაჯულებაზე წვდომის თანაბარი უფლება თითოეული ადამიანისთვის ევროპის საბჭოს ოთხი ძირითადი კონვენციით არის გათვალისწინებული: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; ევროპის სოციალური ქარტია; კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია)[7].

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას, უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლოს უფლება და სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები. კონვენციის მე-14 მუხლი და მე-12 ოქმი კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას კონვენციით განსაზღვრული უფლების გამოყენებისას, მათ შორის სქესის მიხედვით დისკრიმინაციას. ევროპის სოციალური ქარტია (ESC) უზრუნველყოფს სამართლებრივი დაცვის უფლებას და კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერი ნიშნით, სქესის ჩათვლით.

სტამბოლის კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ქალთათვის და მოითხოვს საგანგებო ზომების გატარებას გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიზნით სოციალურ-კულტურული ნორმების შესაცვლელად და ძალადობის მსხვერპლებთან მომუშავე პერსონალის სათანადოდ მომზადებას მსხვერპლთა საჭიროებებისა და თანასწორი უფლებების საკითხებზე. კონვენცია ადგენს სათანადო სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია ყურადღებას ამახვილებს ძალადობის მსხვერპლ ქალებზე, მის მიერ დადგენილი სტანდარტები გამოყენებული უნდა იქნას ქალებთან დაკავშირებულ სხვა სფეროებშიც, როგორიცაა დასაქმება და საოჯახო სამართალი[8].

CEPEJ ატარებს სასამართლო სისტემების პერიოდულ შეფასებას 47 წევრ ქვეყანაში. ეს შეფასება მოიცავს სასამართლოებსა და პროკურატურებში გენდერული თანასწორობის ინდიკატორებს, იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობას, მოსამართლეთა და პროკურორთა ტრენინგს ოჯახურ და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების მსხვერპლთათვის ხელსაყრელი პირობების არსებობას. მთავრობების მიერ შეგროვებული ეს მონაცემები ამაღლებს ცნობიერებას ეფექტიანი და ხარისხიანი სასამართლო სისტემების სტანდარტების შესახებ და გამოავლენს შესაძლო ხარვეზებს, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან[9]. CEPEJ იძლევა ასევე მითითებებს და ადგენს სტანდარტებს მართლმსაჯულების გამჭვირვალობის, ხარისხისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხარს უჭერს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ევროპულ სტანდარტებს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის შემთხვევებში წევრი ქვეყნების მთავრობებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების გზით.

7. Choudry, Shazia, “Women’s Access to Justice – A guide for legal practitioners” COE 2018
8. Choudry, Shazia. Cit., 13
9. იხილეთ https://www.coe.int/en/web/cepej/gt-qual-tools

ასეთ დარღვევებში შედის სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციაც, კონვენციის მე-6 და მე-14 მუხლებისა და კონვენციის მე-12 ოქმის დებულებათა თანახმად[10].

გაეროს ადამიანის უფლებათა ჩარჩოს ფარგლებში, CEDAW №33 რეკომენდაცია განსაზღვრავს სახელმწიფოების ვალდებულებებს, გამოასწორონ დისკრიმინაციული კანონები, აღმოფხვრან სტერეოტიპები და გენდერული მიკერძოება მართლმსაჯულების სისტემაში, იზრუნონ განათლებაზე, ცნობიერების ამაღლებზე, სათანადო იურიდიულ დახმარების უზრუნველყოფაზე ყველასათვის.

და ბოლოს, გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის ავალდებულებს მთავრობებს, უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომა ქალებისა და მამაკაცებისთვის. მთავრობები მოაზრებიან მთავარ აქტორებად ადამიანის უფლებების რეალიზაციისა და თითოეული ადამიანისთვის მართლმსაჯულებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის საქმეში[11].

10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფაქტების კრებული გენდერული თანასწორობის შესახებ, 2021 წლის თებერვალი. ხელმისაწვდომია: https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=press/factsheets&c=
11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის A/RES/70/1 რეზოლუციის პრეამბულა, გვ. 1. და მდგრადი განვითარების მიზანი 16, მიზანი 16.3.

6. ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზომვის ჩარჩოს მიმოხილვა

სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვის რესპუბლიკასა და უკრაინაში

ქალთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის ხელშეწყობის ეფექტიანი ღონისძიებების ძირითადი კომპონენტია მისი ძირითადი ელემენტების შესახებ სანდო მონაცემების ხელმისაწვდომობა. მიმდინარე პროექტის კონტექსტში, რომელიც მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ძალისხმევას მართლმსაჯულებაზე ინკლუზიური წვდომის გასაძლიერებლად, ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. ქვემოთ ჩამოთვლილი სფეროები, რომლებიც მონაწილე სამთავრობო ინსტიტუტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასაც ემყარება, მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვნად ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

I. ქალების მართლმსაჯულებრივი გზა

ა. მთავარი საკითხები, რომლებსაც ქალები აწყდებიან მართლმსაჯულებაში

ბ. მართლმსაჯულებრივი გადაწყვეტის სასურველი მექანიზმები

გ. მართლმსაჯულებრივი შედეგები ქალებისთვის

ქალებისა და გოგონებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საფუძვლიანი გაგება უნდა ეფუძნებოდეს იმის გააზრებას და დადგენას, თუ რა გზას გადიან ქალები მართლმსაჯულების სფეროში. იმის ცოდნა, თუ რა არის მთავარი მართლმსაჯულებრივი საკითხები, რომლებსაც ქალები აწყდებიან და რას აკეთებენ ქალები მათთან დაკავშირებით, ხელს უწყობს პრობლემის კონტექსტუალიზაციას და წარმართავს ნებისმიერ შემდგომ ძალისხმევას მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისთვის. რა გზებს მიმართავენ ქალები სამართლიანობის მოსაძებნად? ემსახურებიან მათ მოთხოვნებს სპეციალიზებული სასამართლოები და სხვა დარგობრივი იურისდიქციის ორგანოები თუ ქალებს მათთვის გვერდის ავლა უხდებათ? ხომ არ ამჯობინებენ ქალები დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ, არასასამართლო გზებსა და საშუალებებს? რას აკეთებენ, რა საშუალებებს მიმართავენ ქალები ძალადობისგან თავის დასაცავად? ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემა არსებითი იქნება მართლმსაჯულების შესახებ ქალთა გამოცდილების სწორად გასაგებად და შესაძლებელს გახდის, რომ შეფასებებიცა და გატარებული ზომებიც მიმართული იყოს ქალებისთვის ყველაზე აქტუალური საკითხების მოსაგვარებლად და ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აბრკოლებენ ქალებს მართლმსაჯულების გზაზე.

პოლიტიკის განსაზღვრა. პოლიტიკა, რომელიც ცდილობს, შექმნას მართლმსაჯულებაზე წვდომის ხელსაყრელი გარემო ქალთათვის, უნდა პასუხობდეს ქალთა რეალურ მოთხოვნილებებს და ასახავდეს მათ გამოცდილებას. მონაცემთა შეგროვების მეთოდი, რომლის მიზანია, გააშუქოს ქალთა გზა მართლმსაჯულების სისტემაში, პირველ რიგში, ყურადღებას უნდა აქცევდეს ქალთა გამოცდილებას. მონაცემთა წყაროები უნდა მოიცავდეს ზოგადი მოსახლეობისა და

მომხმარებელთა გამოკითხვებსაც და ქალების და ქალთა ასოციაციების ფოკუს ჯგუფებსაც. ადმინისტრაციული მონაცემები საქმეებისა და მათი შედეგების შესახებ, ასევე ექსპერტთა ინტერვიუები, სასარგებლო იქნება ინფორმაციის შესავსებად.

II. ინსტიტუციური შესაძლებლობები

ა. ქალთა მონაწილეობა იურიდიულ და მართლმსაჯულების სისტემის პროფესიებში

ბ. გენდერული ტრენინგი მართლმსაჯულებისა და იურიდიულ სფეროებში მომუშავე კადრებისათვის

გ. ინსტიტუციური ზომები და საკოორდინაციო შესაძლებლობები

დ. გენდერულად ნეიტრალური და გენდერულად მგრძნობიარე კანონების დანერგვა

ე. გენდერული ბიუჯეტის ანალიზი

„შესაძლებლობა“ არის საზომი მართლმსაჯულების სისტემის შესაძლებლობისა, უპასუხოს მოქალაქის მართლმსაჯულებრივ საჭიროებებს. იგი მოიცავს გენდერულ თანასწორობას იურიდიულ პროფესიებში; მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართულ ინსტიტუციურ ღონისძიებებსა და მათი კოორდინაციის დონეს, მათ შორის სამართალდამცავ უწყებებთან და ჯანდაცვის სექტორთან კოორდინაციას; სასამართლო სისტემის კადრების შემადგენლობას და მომზადების დონეს; ინკლუზიური, დისკრიმინაციისგან თავისუფალი და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას; კანონების შესრულებას; ბიუჯეტის დაგეგმვას და რესურსების განაწილებას. ეს ის კომპონენტებია, რომლებიც განსაზღვრავს მართლმსაჯულების სისტემის შესაძლებლობებს, ეფექტურად დააკმაყოფილოს თითოეული ადამიანის მართლმსაჯულებრივი საჭიროებები და განახორციელოს მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლება დისკრიმინაციის გარეშე.

ა. ქალთა მონაწილეობა იურიდიული და მართლმსაჯულების სფეროს პროფესიებში
მართლმსაჯულების ინკლუზიური და ეფექტიანი სისტემის განუყოფელი მახასიათებელია. მართლაც, „...ქალთა მონაწილეობა მართლმსაჯულების სისტემაში […] მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ [...] მართლმსაჯულების სისტემა ასახავდეს საზოგადოებას, რომელსაც რეალურად ემსახურება. ქალ მოსამართლეებს […] შეუძლიათ, ხელი შეუწყონ კანონის უზენაესობის განმტკიცებას მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის შექმნაში წვლილის შეტანით და კანონების აღსრულებას (მათ შორის, ქალებისა და გოგონებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ)“[12]. გარდა იმისა, რომ მრავალფეროვნება იურიდიული და მართლმსაჯულების სისტემის პროფესიებში თავისთავად დადებითი ელემენტია, არსებობს კონკრეტული ინდიკატორები იმისა, რომ ეს სიკეთის მომტანია სამართლის მაძიებელი ქალებისთვის. მხოლოდ „იურისტი ქალების არსებობა არ იძლევა გარანტიას, რომ ქალები მიიღებენ სამართლიანობას ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან […], მაგრამ ეს მართლმსაჯულების სექტორს ქალებისთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის“.[13] კვლევებმა აჩვენა[14], რომ მართლმსაჯულების სფეროში დასაქმებულ კადრებში ქალების არარსებობა ძალიან აფერხებს ქალებს სამართლიანობის ძიების გზაზე. ეს განსაკუთრებით ეხება სენსიტიურ შემთხვევებს, როგორიცაა გაუპატიურება და ქალთა მიმართ ძალადობა.[15] ინკლუზიური მართლმსაჯულების სისტემის ეს ძირითადი ელემენტი – ქალთა მონაწილეობა იურიდიულ და მართლმსაჯულების სისტემის პროფესიებში – მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული შესაბამისი მგრძნობელობის განვითარებასთან და იუსტიციის სისტემაში დასაქმებული კადრების ტრენინგთან, რათა ჩამოყალიბდეს თანასწორობისა და არადისკრიმინაციის ინსტიტუციური კულტურა.

12. UNODC. 2013. უსაფრთხოებისა და სამართლიანობის აღრიცხვა 2015 წლის შემდგომ განვითარების დღის წესრიგში. ნიუ-იორკი: UNODC. გვ. 59.
13. ქალთა და ბავშვთა სამართლებრივი კვლევის ფონდი (WCLRF). 2008. ქალთა წვდომა მართლმსაჯულებაზე: პრობლემები და გამოწვევები. http://www.wclrf.org.af/wp-content/uploads/2013/09/Women-Access-To-Justice-Final.pdf. გვ. 28
14. WCLRF, Cit.; მსოფლიო ბანკი. 2012. Cit.
15. ინდოეთში მხოლოდ ქალებით დაკომპლექტებული პოლიციის განყოფილებები ინდოეთში წარმატებული აღმოჩნდა: გაიზარდა ქალების მიმართვა სამართალდამცავი ორგანოებისადმი ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ. იხილეთ მსოფლიო ბანკი, 2012 წ.

ბ. გენდერული ტრენინგი მართლმსაჯულებისა და იურიდიულ სფეროებში მომუშავე კადრებისათვის. სასამართლო სისტემაში გენდერული პასუხისმგებლობის პრაქტიკა მნიშვნელოვნად ზრდის მთლიანად სისტემის უნარს, უპასუხოს ქალებისა და გოგონების სპეციფიკურ მართლმსაჯულებრივ საჭიროებებს. დამწყები თუ გამოცდილი კადრების სამსახურებრივი ტრენინგი აუცილებელია ქალთა მართლმსაჯულებრივი საჭიროებებისა და გამოცდილების გასააზრებლად და ადვოკატებში, მოსამართლეებში, პროკურორებში, გამომძიებლებში, სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოების კადრებში არსებული მიკერძოების აღმოსაფხვრელად. გენდერული მოსაზრებების გათვალისწინება მოსამართლეთა და მართლმსაჯულების სისტემის სხვა კადრების შერჩევა/დანიშვნაში და მათ კარიერულ დაწინაურებაში, საგანგებო დირექტივები გენდერულად მგრძნობიარე საქმეების განხილვისთვის, მმართველ ორგანოებში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, გენდერული მონაცემების რეგულარული შეგროვება მიმდინარე თუ დახურულ საქმეებში და საჩივრებში, ასევე მომხმარებლების კმაყოფილების შეფასება – ეს ყველაფერი ხელს უწყობს გენდერული მოსაზრებების „ინსტიტუციონალიზაციას“ სასამართლო სისტემის მუშაობაში. როგორც აღნიშნულია ევროპის საბჭოს მიერ ქალთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველსაყოფად მოსამართლეთა და პროკურორთათვის საგანგებოდ შემუშავებული სახელმძღვანელოს[16] სომხეთისადმი მიძღვნილ თავში, მოსამართლეებისა და მართლმსაჯულების სისტემის სხვა კადრებისთვის ძირითადი სამართლებრივი გენდერული მონაცემების მიწოდება არსებითია გენდერულად მგრძნობიარე, მიუკერძოებელი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით. „უაღრესად მნიშვნელოვანია, მოსამართლეები და განსაკუთრებით პროკურორები, იცნობდნენ ოჯახში ძალადობის მკაფიო სურათს ქვეყნის მასშტაბით. ეს მათ საშუალებას მისცემს, ეფექტიანად უპასუხონ არსებულ გამოწვევებს, გამოავლინონ ფარული დანაშაულები, პასუხისგებაში მისცენ დამნაშავეები, მხარი დაუჭირონ მსხვერპლებს და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება, სწორი კვალიფიკაცია მისცენ დანაშაულს და მიიღონ აუცილებელი ზომები ოჯახში ძალადობის შესამცირებლად.”

გ. ინსტიტუციური ზომები და საკოორდინაციო შესაძლებლობები. მართლმსაჯულების აღსრულებაში ჩართულია ბევრი სამინისტრო, დეპარტამენტი, უწყება და სხვა ინსტიტუციური ორგანო. ასეთი დაწესებულებების გამოვლენა და იმ მექანიზმების დაგეგმვა, რომელთა მიხედვითაც სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობაში მოხდება გენდერული საკითხების მართვა, აუცილებელია იმ ძირითადი აქტორების იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის ხელშეწყობა ევალებათ. ასეთი აქტორების კოორდინირებული მუშაობა ერთ-ერთი ინდიკატორია ეფექტიანი სისტემისა, რომელიც ქალთა მართლმსაჯულებრივ საჭიროებებს პასუხობს. როგორც იუსტიციისა და უსაფრთხოების სფეროების პოლიტიკის გარემოს შესახებ[17] გაეროს ქალთა ფონდის მიმოხილვაშია აღნიშნული, დარგთაშორისი კოორდინაციის ნაკლებობა მართლმსაჯულების პოლიტიკისა და სტრატეგიების განხორციელების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

დ. გენდერულად ნეიტრალური და გენდერულად მგრძნობიარე კანონების დანერგვა. ინსტიტუციური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი და ხშირად შეუმჩნეველი განზომილებაა მართლმსაჯულების სისტემის უნარი, დანერგოს კანონები, რომლებიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას და იცავს ქალთა უფლებებს. მართლაც, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დისკრიმინაციული კანონები გაუქმდა და შეიცვალა გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობით, კანონის აღსრულება ზოგჯერ არათანაბარია, რისი მიზეზიც ხშირად მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე კადრების ინფორმირებულობის დაბალი დონეა.

ე. გენდერული ბიუჯეტის ანალიზი. ევროპის საბჭო განსაზღვრავს ბიუჯეტის გენდერულ დაგეგმვას, როგორც „გენდერული საკითხების გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესში“ და როგორც „ბიუჯეტების გენდერულ შეფასებას, რომელიც მოიცავს გენდერულ თვალსაზრისს საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე და ახორციელებს შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურიზაციას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.“[18]

---

16. https://rm.coe.int/training-manual-for-judges-and-prosecutors-on-ensuring-women-s-access-/1680764286
17. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „კონფლიქტის პრევენცია, მართლმსაჯულების გარდაქმნა, მშვიდობის უზრუნველყოფა: გლობალური კვლევა გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციის დანერგვის შესახებ“
18. ევროპის საბჭო, „გენდერული ბიუჯეტირება: პრაქტიკული განხორციელების სახელმძღვანელო“, 2009 წლის აპრილი.

ბიუჯეტის გენდერულ დაგეგმვაზე ყურადღების გამახვილება მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის შეფასებისას გამართლებულია იმ დაკვირვებით, რომ ბიუჯეტები, როგორც წესი, არ არის გენდერულად ნეიტრალური. მთავრობების მიერ შემოსავლების ზრდისა და რესურსების განაწილების გზა პოლიტიკის არჩევანსა და პრიორიტეტებს შეესაბამება და ის, შესაძლებელია, სხვადასხვანაირად აისახებოდეს ქალებსა და მამაკაცებზე. სახელმწიფო ბიუჯეტირება გავლენას ახდენს ადამიანებზე, რადგან ამ პროცესში ხდება რესურსების გადანაწილება, სხვადასხვა სერვისებისა და პროგრამების დაფინანსება. ამრიგად, ბიუჯეტირება პოლიტიკის მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს ან უშლის თანასწორობას, არადისკრიმინაციას, ადამიანის უფლებების რეალიზაციას[19]. მიუხედავად იმისა, რომ ის CEDAW-ში პირდაპირ არ არის ნახსენები, ბიუჯეტირება მთავრობების ხელთ არსებული მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თანასწორობისა და თანაბარი ჩართულობის დასაცავად, დისკრიმინაციისა და მავნე გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული ცრურწმენებისა და პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. CEDAW №33 რეკომენდაციის მე-18 მუხლი ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ სამართლიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებთან ერთად მოიცავს დებულებას ბიუჯეტისა და რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ, რათა ეფექტიანად იყოს დაცული ბრალდებულ ქალთა, მოწმეთა და პატიმართა უფლებები. 39-ე მუხლში კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, „გაუწიონ ადეკვატური საბიუჯეტო […] დახმარება მართლმსაჯულების სისტემის ყველა რგოლს, მათ შორის სპეციალიზებულ სასამართლო, კვაზი-სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებს, დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს და ომბუდსმენის სამსახურებს“.

მართლაც, აუცილებელია მიზანმიმართული საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღება მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის ხელშესაწყობად, ქალთა უფლებების დასაცავად და რესურსების უზრუნველსაყოფად ისეთი პროგრამებისა და სერვისების ხარისხისა და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, როგორიცაა იურიდიული დახმარების სერვისები, გადასახადებიდან გათავისუფლების პროგრამები, ასევე ტრენინგის პროგრამები მოსამართლეთა და მართლმსაჯულების სფეროში დასაქმებული სხვა პირებისთვის, როგორებიც არიან იურიდიული სერვისების მიმწოდებლები, სპეციალური სასამართლოები თუ მათი ქვედანაყოფები, პროგრამები და მექანიზმები ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პოლიტიკის დაგეგმვის მნიშვნელობა. ეფექტიანი პოლიტიკის ზომები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს შესაძლებლობების გაძლიერებაზე, უნდა ეხებოდეს როგორც მიწოდების მხარეს (მართლმსაჯულების სისტემის რეალურ შესაძლებლობებს, აღასრულოს სამართალი დისკრიმინაციის გარეშე), ასევე მოთხოვნის მხარეს (ქალთა საჭიროებებს მართლმსაჯულების ინსტიტუტებთან მიმართებაში, მართლმსაჯულების შედეგებს და მათ გავლენას ქალებზე). გარდა ამისა, სასამართლო ხელისუფლების შესაძლებლობებისა და გენდერული პასუხისმგებლობის გათვალისწინებისას მნიშვნელოვანია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ასპექტები. სქესის მიხედვით დაჯგუფებული მონაცემები ადვოკატების/მოსამართლეების/სასამართლოს პერსონალის/პოლიციის კადრების რაოდენობისა და პროფესიული დონის შესახებ წარმოაჩენს მართლმსაჯულების სისტემების მრავალფეროვნებისა და წარმომადგენლობითობის სურათს. ინფორმაცია გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო პროგრამების, სასამართლო სისტემაში გენდერულად მგრძნობიარე პრაქტიკის არსებობის შესახებ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე სასამართლო სერვისების მიწოდების მონიტორინგის საშუალებას იძლევა. დეტალური ინსტიტუციური რუკა და უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმების შესახებ მონაცემები საშუალებას იძლევა, შეფასდეს მართლმსაჯულებისა და გენდერული მექანიზმების ინსტიტუციური შესაძლებლობები.

იმისათვის, რომ გავიგოთ, ახორციელებს თუ არა სასამართლო ხელისუფლება ინკლუზიურ მართლმსაჯულებას თითოეული მოქალაქისთვის, მონაცემთა შეგროვების პროცესი უნდა მოიცავდეს მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გამოკითხვებს, ინტერვიუებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე უნდა ხდებოდეს საქმეების მონიტორინგი გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის აღსრულების კონტროლისათვის.

19. Unifem, „ბიუჯეტი ქალთა უფლებებისთვის – მთავრობების ბიუჯეტის მონიტორინგი CEDAW-თან შესაბამისობისთვის“, 2008, გვ. 2.

და ბოლოს, პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების ხელშეწყობას, უნდა ეყრდნობოდეს კვლევებს, რომლებიც მოიცავს ბიუჯეტისა და ხარჯების სხვადასხვა განზომილებებს: 1) დაგეგმვა, რათა რესურსები გამოიყოს ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ძირითადი ელემენტების დასაფარად (გენდერული ტრენინგი მართლმსაჯულებაში დასაქმებული კადრებისთვის, უფასო იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა, გადასახადებისაგან გათავისუფლება, სპეციალური სასამართლოები და ქვედანაყოფები) 2) ხარჯების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილი იყოს რესურსების მიწოდება მიზნობრივი ბენეფიციარებისთვის; 3) ბენეფიციარების შეფასება, რათა დადგინდეს, გამოიყოფა თუ არა რესურსები არადისკრიმინაციული, გენდერულად მგრძნობიარე შედეგების მისაღებად, ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად; 4) რაოდენობრივი კვლევები, სქესის მიხედვით დაყოფილი ინდიკატორების გამოყენებით, როგორიცაა ქალებისა და მამაკაცების წვდომა უფასო იურიდიულ დახმარებაზე.

III. ხარისხიან და იაფ იურიდიულ კონსულტაციასა და წარმომადგენლობაზე წვდომა.

ა. ხელმისაწვდომობა, ხარისხი, ღირებულება და წვდომის მოთხოვნები

ბ. გენდერული ტრენინგი მართლმსაჯულებისა და სხვა იურიდიული სფეროების წარმომადგენლებისთვის

გ. მიზნობრივი იურიდიული დახმარებისა და საკონსულტაციო სერვისების არსებობა

მათთვის, ვინც ცდილობს საჩივრების სასამართლო გზით გადაწყვეტას, მართლმსაჯულების სისტემაში გარკვევა შეიძლება სერიოზული გამოწვევა იყოს, რაც უკავშირდება დროისა და ფულის ხარჯვას და საბოლოოდ სამართლებრივ გზაზე უარის თქმაც შეიძლება გამოიწვიოს. საჩივრის შეტანის გადაწყვეტილების მიღებაში, შესაბამისი ინსტანციის არჩევაში და მართლმსაჯულებრივ პროცესში დახმარებისა და წარმომადგენლობის მიღებაში უფასო ან იაფი იურიდიული კონსულტაცია და წარმომადგენლობის საშუალება ხელს უწყობს მართლმსაჯულებაზე თანაბარ წვდომას ყველასთვის და ქმნის შანსს, ამოივსოს „შესაძლებლობების უფსკრული“, რომელიც, როგორც წესი, მეტად ეხება ქალებს, ვიდრე მამაკაცებს. დადგენილია, რომ მიზანმიმართული იურიდიული დახმარება ხელს უწყობს ქალების წვდომას მართლმსაჯულებაზე, ზრდის მათ შესაძლებლობებს, შეიტანონ საჩივარი გაუპატიურების ან ძალადობის შემთხვევებში ან მიიღონ დაბადების, ქორწინების თუ განქორწინების მოწმობები.[20] [21] მაგრამ ხარისხიანი და იაფი იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო საქმეებში, იშვიათად არის ყველასთვის ხელმისაწვდომი. მიკერძოება და გენდერული დისკრიმინაციული პრაქტიკა იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებს არ აძლევს საშუალებას, სათანადოდ უპასუხონ ქალთა საჭიროებებს და გაუწიონ მათ იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა.

პოლიტიკის დაგეგმვის მნიშვნელობა. იურიდიული კონსულტაცია და წარმომადგენლობითი მომსახურება მათთვის, ვისაც არ შეუძლია ადვოკატის საფასურის გადახდა, შეიძლება უზრუნველყონ სხვადასხვა აქტორებმა, მათ შორის მთავრობამ, კერძო ადვოკატებმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და აკადემიურმა დაწესებულებებმა. ეფექტიანი პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს არა მხოლოდ ასეთი სერვისების ხელმისაწვდომობას, არამედ მათ ხარისხს, ღირებულებასა და მოთხოვნებს მათ მისაღებად. კერძოდ, პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმები, რომლებიც აძლიერებს იურისტების და იურიდიული პროფესიების სხვა წარმომადგენლების შესაძლებლობებს და უზრუნველყონ, რომ ისინი არ მოქმედებდნენ მიკერძოებით და გენდერული სტერეოტიპებით.

ამგვარად, ღონისძიებები უნდა მოიცავდეს გენდერული მგრძნობელობის გაღრმავების ტრენინგს, ისევე, როგორც იურიდიული დახმარებისა და წარმომადგენლობითი მომსახურების

20. იხილეთ DEMI (Defensoria de la Mujer Indigena), 2007. El Acceso de las Mujeres Indigenas al Sistema de Justicia Oficial de Guatemala: Segundo Informe. გვატემალა: DEMI; Sieder, R and M. Sierra. 2010. „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ინდიელ ქალთათვის ლათინურ ამერიკაში“. ნაშრომი მსოფლიოს ქალთა პროგრესისთვის 2011-2012 წწ. ნიუ-იორკი: UN Women. მსოფლიოს ქალთა პროგრესი 2011-2012 წწ. ნიუ-იორკი: UN Women გვ. 57.
21. გაეროს ქალთა ფონდი და ევროპის საბჭო, . 2015 წ. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზომვის ჩარჩო ქალების წინაშე მდგარი სპეციფიკური გამოწვევების ჩათვლით, გვ. 141.

მიმწოდებელთა საქმიანობისა და კვალიფიკაციის სტანდარტებს[22]. ძირითადი მონაცემები, რომლებიც უნდა შეგროვდეს ამ პროგრამების დაგეგმვისათვის, მოიცავს მომხმარებლის კმაყოფილების დონეს და იურიდიული დახმარებისა და წარმომადგენლობითი სერვისების მიმწოდებლებისადმი ნდობის შემოწმებას. ეს ის სასარგებლო ინდიკატორებია, რომლებიც სამართლიანობის მაძიებელი მხარისთვის არის მნიშვნელოვანი. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანია გენდერულად დახარისხებული ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვება იურიდიული დახმარების მიმწოდებლების რაოდენობის შესახებ; იმის შესახებ, თუ როგორ ესმით მათ გენდერულად სპეციფიკური საკითხები და ამ თვალსაზრისით არსებული ხელმისაწვდომობის ბარიერები. ასევე მნიშვნელოვანია იმ შემთხვევების მიმოხილვა, როდესაც ამ სერვისების მიმწოდებლებმა დახმარება გაუწიეს მათ, ვისაც ამის ფინანსური საშუალება არ ჰქონდა. ეს ყველაფერი ეხმარება ამ სერვისების რეალურ გაშუქებას და ამ საკითხებზე სათანადოდ რეაგირებას.

რომ გავიგოთ, რაზე მიუწვდებათ ქალებს რეალურად ხელი, ასევე აუცილებელია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ქალები, რომ მიიღონ უფასო იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა. და ბოლოს, აუცილებელია მონაცემები იურიდიული კონსულტაციისა და წარმომადგენლობითი ცენტრების/ერთეულების არსებობისა და ხარისხის შესახებ, რომლებიც ქალებისთვის სპეციფიკურ სამართლებრივ საკითხებზე მუშაობენ (მაგ., საოჯახო სამართალი, გენდერული ძალადობა). ეს ინფორმაცია საშუალებას აძლევს ამ სამსახურებს, ადეკვატურად უპასუხონ ქალებისა და გოგონების სპეციფიკურ სამართლებრივ საჭიროებებს.

IV. ცნობიერება ქალთა უფლებების შესახებ და იურიდიული წიგნიერება

ა. უფლებების ცოდნა

ბ. მართლმსაჯულების ინსტანციებისა და მექანიზმების ცოდნა სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად (იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული წარმომადგენლობითი მომსახურების ჩათვლით)[23]

საკუთარი უფლებების (და მოვალეობების) გაცნობიერება არის მართლმსაჯულებაზე წვდომის უპირველესი და უმთავრესი ინსტრუმენტი, რადგან ის საშუალებას აძლევს ადამიანს, სწორად შეაფასოს სიტუაცია, რომელიც შეიძლება გადაწყდეს სამართლებრივი გზით და, ამრიგად, ეძიოს სამართალი. ანალოგიურად, მართლმსაჯულების ინსტანციების/სტრუქტურების და მექანიზმების შესახებ ცოდნა, რაც არ უნდა ზოგადი იყოს, არსებითია იმისთვის, რომ ადამიანებმა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები თავიანთ სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით.

გენდერული განსხვავებები წიგნიერების დონეში, ეკონომიკურ რესურსებში, დროის ხელმისაწვდომობაში, ოჯახისა და სოციალური ძალაუფლების დინამიკაში მიანიშნებს იმაზე, რომ ხშირად ქალებსა და გოგონებს აქვთ იურიდიული ცნობიერების და წიგნიერების უფრო დაბალი დონე, ვიდრე მამაკაცებს. ეს უმცირებს მათ პრობლემების დამოუკიდებლად, კანონიერად მოგვარების შანსებს. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებაზე დაფუძნებული მიდგომის ფარგლებში, მთავრობებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, აღჭურვონ ქალები ისეთი საშუალებებითა და უნარებით, რომ შეძლონ მართლმსაჯულების სისტემით სარგებლობა და მოახდინონ მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების რეალიზაცია.

პროგრამები, რომელთა მიზანია ქალთა სამართლებრივი ცნობიერებისა და წიგნიერების გაღრმავება, მნიშვნელოვანი სასტარტო წერტილია მთავრობებისთვის ქალთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად. ქალთა გაძლიერება იმისათვის, რომ მათ თავიანთი უფლებები მოითხოვონ და დაიცვან, ამავდროულად აღრმავებს მართლმსაჯულების სისტემის მგრძნობელობასაც და ამყარებს მის ანგარიშვალდებულებას.

22. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი, „გლობალური კვლევა იურიდიული დახმარების შესახებ – გლობალური ანგარიში“ 2020 ხელმისაწვდომია: https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/LegalAid/Global_Study_on_Legal_Aid_-_FINAL.pdf
23. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის კანონის უზენაესობის ინიციატივა. 2012 წ. გვ. 11.

პოლიტიკის დაგეგმვის მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია, უშუალოდ ქალებისა და გოგონებისგან გავიგოთ, რამდენად იცნობენ ისინი საკუთარ უფლებებს და მათი დაცვის მექანიზმებს, ეს მონაცემები ინტეგრირებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისაგან მიღებულ ინფორმაციასთან. აუცილებელია, ვიცოდეთ, როგორ ესმით მათ ქალთა სამართლებრივი ცნობიერება და ამ ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობები, რომ წვლილი შეიტანონ შესაძლო გენდერული ხარვეზების აღმოფხვრაში. გამოსაყენებლად ადვილი და უფასო ან იაფი იურიდიული საინფორმაციო რესურსები (როგორიცაა ფიზიკური ან ონლაინ სამართლის ბიბლიოთეკები, საჯარო სამართლებრივი ინფორმაციის ჯიხურები/სამსახურები სასამართლოებში ან სხვა სტრატეგიულ ადგილებში, მაგალითად, ჯანდაცვის ცენტრებში, სასკოლო კომპლექსებში და ა.შ. .) და ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი, სწორი საზოგადოებრივი კამპანიები ის ელემენტებია, რომლებიც ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების მექანიზმების ხელმისაწვდომობას და რომელთა არსებობა, ხარისხი და ეფექტიანობა აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის შეფასებისას.

PREMS 035122

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ნოუ- ჰაუ, რესურსები და ბედი. ერთად, მათ ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და ამასთანავე, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი მზადაა, საკუთარი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ადამიანებს მის საზღვრებს გარეთ.

www.europa.eu

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო